#11-123

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო

გაცნობებთ, რომ შპს ,,აგრო საწარმო"-ს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩუმლაყის ტერიტორიაზე გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი, სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, რომელზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 18 მარტის #2-218 ბრძანებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ ანგარიშს და საწარმო ფუნქციონირებს სამინისტროსთან შეთანხმებული ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად.

ამ ეტაპზე, ტექნოლოგიურ პროცესში, წარმოების ეფექტურობის გაზრდის მიზნით საჭირო გახდა დამატებითი ტექნოლოგიური დანადგარის დამატების საჭიროება. კერძოდ, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე, ინერტული მასალების მსხვრევა ხდება ერთჯერადად, საიდანაც გამოშვებული ხრეში გადის სარეალიზაციოდ, ხოლო ღორღის ნაწილი მსხვილფრაქციულია და საჭიროებს დამატებით მსხვრევას. იმისათვის, რომ საწარმომ შესძლოს ეფექტურად მუშაობა დაგეგმილი წარმადობის ფარგლებში, საჭიროა ღორღის ნაწილის მეორადი მსხვრევის განხორციელება და ამის შემდეგ მისი გატანა სარეალიზაციოდ. დაგეგმილი ცვლილება საწარმოს წარმადობის ზრდას არ ითვალისწინებს და მოიცავს მხოლოდ დამატებითი მცირე ზომის სამსხვრევი დეტალის დამატებას არსებულ ტექნოლოგიურ დანადგარებთან ერთად.

აქედან გამომდინარე, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მეორე დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად, განსახილველად წარმოგიდგენთ სკრინინგის ანგარიშს, სადაც დამატებულია ტექნოლოგიურ ციკლში განსახორციელებელი ცვლილების შესახებ ინფორმაცია.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია

პატივისცემით

ნუგზარ წყაროზია

შპს ,,აგროსაწარმო"-ს დირექტორი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„04" 07 2023 წ.
№ 6208